08/05/2026

MES 5 26 0000550994

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.04.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:06
სხდომის დამთავრების დრო: 16:40
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (II საკითხი)
საბჭოს მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^{2}-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
4. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
5. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

6. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
12. **ბონდო გასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
14. **ნათია იორდანაშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
2. **ლია ხარებავა** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი:

1. **აკაკი ჭელიძე** - უნივერსიტეტის რექტორი;
2. **გიორგი გორაძე** - საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
3. **ნატო გუგავა** - საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. **დიმიტრი გეგენავა** - უნივერსიტეტის პრორექტორი;
5. **თამთა თავართქილაძე** - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
6. **ნანო პაჭკორია** - ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

1. **ვახტანგ წივწივაძე** - კანცლერი;
2. **კახაბერ კორძაია** - რექტორი;
3. **ნინო ჭალაგანიძე** - კანცლერის მრჩეველი;

4. **მარინა გედევანიშვილი -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ;
5. **თეა თოდუა -** კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. **ფიქრია კაპანაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. **გიორგი ბერულავა -** პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი;
2. **დავით ჯალაღონია -** პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი;
3. **კახი კოპალიანი -** პროფესორი, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

1. **არჩილ ჯანგირაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. **მაია ამაშუკელი -** ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
3. **ნათია გოლიაძე** - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. **ქეთი ცხადაძე** - ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
5. **ნინო დევიძე** - ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. **ნინო ჟვანია** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. **მაკა ლაშხია -** ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **ნათია ბურჯანაძე** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;
4. **გიორგი გვახარია**-პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
5. **ნინო მხეიძე -** ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები, საკითხი, რომლის შეფასებაშიც მონაწილეობდა:

1. ქრისტიან შახტნერი (I საკითხი)
2. ნინო ფარსადანიშვილი (I საკითხი)
3. ნოდარ ხერხეულიძე (I საკითხი)
4. თამთა ცხოვრებაძე (I საკითხი)
5. გიორგი მერაბიშვილი (I საკითხი)
6. ჰასან ჩაკირი (II საკითხი)
7. მაგდა ცინცაძე (II საკითხი)
8. ნინო ტალიკაძე (II საკითხი)
9. ნინო ღაჭავა (II საკითხი)
10. ეკა გეგეშიძე (III და IV საკითხები)

11. ეკა ლეკიშვილი (V საკითხი)
12. დავით სიხარულიძე (VI საკითხი)
13. თამარ ჩხეიძე (VII და VIII საკითხები)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, მდივნის ფუნქციები შეასრულა საბჭოს წევრმა, ციური დურულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინომცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინომცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს დამატებით განეხილა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობები:

- „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგია" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის №47122 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის N46590 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 15 აპრილის N434478 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინომცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინომცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგია" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის №47122 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
10. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის N46590 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
11. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 15 აპრილის N434478 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა
საფეხური: დოქტურანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის დოქტორი
დეტალური სფეროს კოდი: მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 46
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტმა ქრისტიან შახტნერმა (Christian Schachtner) შემუშავებული დასკვნის საფუძველზე წარმოადგინა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაზე თავისი საბოლოო პოზიცია, რომელიც თან ერთვის უცვლელად.

"ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდებულია, კვლევის შედეგების ჩართვა, რომლებიც განსაზღვრავს გამოყენებითი საჯარო მმართველობის კვლევის მახასიათებლებს, საჯარო მმართველობის გამოყენებითი ბუნების გათვალისწინებით.
ექსპერტთა რეკომენდაციის მიხედვით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები არ ითვალისწინებს გამოყენებით კვლევით კომპეტენციებს, როგორიცაა პოლიტიკის შეფასება, პოლიტიკის ანალიზი, პოლიტიკის გავლენის შეფასება ან სხვა განზომილებები. აღნიშნულ რეკომენდაციას ინსტიტუცია არ იზიარებს, ვინაიდან პროგრამის პირველივე მიზანი - (ა)„საჯარო მმართველობის პრაქტიკისა და თეორიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული სამეცნიერო ანალიზის საფუძველზე, შედეგზე ორიენტირებული კვლევა და ახალი ცოდნის შექმნა" - პირდაპირ მიუთითებს გამოყენებით კვლევით კომპონენტზე და მის მნიშვნელობაზე. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს შესაბამის კომპეტენციებს, კერძოდ:
(ა) „განსაზღვრავს საჯარო მმართველობის აქტუალურ საკითხებს, მათი კვლევის საჭიროებას, ირჩევს კვლევის შესაბამის მეთოდებსა და განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგებს";
(ბ) „იკვლევს და კრიტიკულად აანალიზებს საჯარო მმართველობის პრობლემურ საკითხებს, შეიმუშავებს საკუთარ სტრატეგიულ, ორიგინალურ, კომპლექსურ და სიღრმისეულ დასკვნებს".
აღნიშნული ფორმულირებები არსებითად მოიცავს ისეთ გამოყენებით კომპეტენციებს, როგორიცაა პოლიტიკის ანალიზი, პოლიტიკის შეფასება და სხვ. ამასთანავე, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში სისტემურად გამოიყენება ტერმინი „საჯარო მმართველობა" და დარგის სპეციფიკური ტერმინოლოგია. დამატებით, პროგრამის სწავლის შედეგებში ნათლად იკვეთება, რომ სტუდენტი ირჩევს ისეთ კვლევის მეთოდს, რომელიც საჭიროა საჯარო მმართველობის აქტუალური საკითხების საკვლევად. ამასთან, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სავალდებულო სწავლება უფრო დეტალურად შლის, აზუსტებს და ავრცობს კურიკულუმში აკუმულირებულ შედეგებს.

ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდებულია, ისეთი სწავლის შედეგების გათვალისწინება, რაც უკავშირდება უფრო ფართო საექსპერტო ცოდნას.
აღნიშნულ რეკომენდაციას ინსტიტუცია არ იზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:
პირველ რიგში, აღნიშნული სადოქტორო პროგრამის მიდგომა ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც დოქტორანტურის საფეხურის მთავარი მიზანი არის კვლევა და ახალი ცოდნის შექმნა და არა ფართო, ზოგადი ცოდნის შეძენა, რაც მეტწილად უმაღლესი განათლების საბაკალავრო, სამაგისტრო დონეებისთვისაა დამახასიათებელი და სათანადოდაა ასახული კვალიფიკაციების ჩარჩო დოკუმენტში.
ასევე, ექსპერტთა დასკვნაში იკვეთება ფაქტობრივი უზუსტობა იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამა სტუდენტებს არჩევანს სთავაზობს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან სასწავლო კურსები გაიაროს უშუალოდ საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული ცოდნის

გაღრმავებისა და შეძენისათვის. პირიქით, სადისერტაციო საბჭო აფასებს და საჭიროების შემთხვევაში ავალებს კონკრეტული სასწავლო კურსების გავლას, რაც ამ შემთხვევაში მავალდებულებელი ხასიათისაა და სტუდენტი ვალდებულია გაიროს ეს კურსები. პროგრამით განსაზღვრულია - „საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტს, სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელისა და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლოა დაევალოს კონკრეტული სასწავლო კურსების გავლა უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)იდან." აღნიშნული მოიაზრებს საუნივერსიტეტო ორგანოების და არა სტუდენტის დისკრეციას.
შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს საჭიროებისამებრ მიზნობრივი ცოდნის გაღრმავებას, თუმცა არ არის ორიენტირებული სისტემური ცოდნის შეთავაზებაზე, რაც დოქტორანტურის საფეხურის არსს არ შეესაბამება. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს აქვს მსგავსი ცოდნის მიღების აუცილებლობა, რაც სავალდებულო სასწავლო კურსებითაა უზრუნველყოფილი.
რაც შეეხება დასკვნის პროექტში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც პროგრამა „თითქმის ექსკლუზიურად ფოკუსირებულია შრომის ბაზრის დასაქმების ერთ სეგმენტზე - უმაღლეს სასწავლებლებზე - და უგულებელყოფენ სხვა მნიშვნელოვან დამსაქმებლებს, როგორიცაა პოლიტიკისა და მმართველობის პროფილის ანალიტიკური ცენტრები, საერთაშორისო და მრავალეროვნული ორგანიზაციები, განვითარების თანამშრომლობის სააგენტოები და შეფასების საკონსულტაციო კომპანიები", - აღნიშნული შეფასება არ არის რელევანტური, ვინაიდან პროგრამა ფოკუსირებულია სწორედ იმ დასაქმების სფეროებზე, სადაც მოთხოვნადია დოქტორის კვალიფიკაცია და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი უნარების მქონე მკვლევრები. ასეთ სფეროებს მიეკუთვნება აკადემიური სექტორი და კვლევაზე ორიენტირებული პოზიციები.

ქვესტანდარტი 4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდებულია, რომ უნივერსიტემა კიდევ უფრო გაზარდოს საჯარო მმართველობის სფეროში ადგილობრივი დოქტორის ხარისხის მქონე პირების აკადემიურ პერსონალად ჩართვა.
მოცემულ რეკომენდაციას ინსტიტუცია არ იზიარებს შემდეგი გარემოებების გამო:

1. საქართველოში საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამას, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გარდა, მხოლოდ ორი უნივერსიტეტი - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებს. მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში კი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს აღარ ექნება სადოქტორო პროგრამა საჯარო მმართველობაში, რაც კიდევ უფრო ამცირებს საჯარო მმართველობის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, მცირეა დოქტორის ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა და ამავდროულად, დაცული დისერტაციების ავტორების უმრავლესობა არ არის აქტიური მკვლევარი, შესაბამისად აღნიშნული გარემოება ხელისშემშლელია უნივერსიტეტში, აკადემიურ თანამდებობაზე მათი აყვანის მიზნებისთვის.
2. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში სადოქტორო სკოლის დებულების მე-20 მუხლის თანახმად, დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად გამოყოფს ორ ადგილობრივ (რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს დარგობრივ სადისერტაციო კოლეგიაში არშემავალი პირი) და ერთ საერთაშორისო რეცენზენტს, ანუ ფაქტობრივად, პროგრამის განხორციელებაში დისერტაციის დაცვის ეტაპზე აუცილებლად იქნებიან ჩართულნი გარე შემფასებლები, რომლებიც იქნებიან საჯარო მმართველობის დოქტორ(ებ)ი. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გამო, ინსტიტუციისთვის მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს არჩევანის შესაძლებლობა გარე შემფასებლებთან დაკავშირებით.

3. საჯარო მმართველობის ინტერდისციპლინური ხასიათი შესაძლებლობას იძლევა საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაში ჩართული იყოს სხვადასხვა მიმართულების მქონე აკადემიური პერსონალი. ამასთან, დოქტორანტების შემთხვევაში გავრცელებული პრაქტიკაა თანახელმძღვანელობით კვლევა, რასაც აქტიურად მიმართავს უნივერსიტეტი. შესაბამისად, პროგრამის ხარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებლობას არ წარმოადგენს პროგრამაში საჯარო მმართველობის ხარისხის მქონე მეტი პერსონალის ჩართვა. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან და მის დინამიკასთან, რაც დამატებით ადასტურებს, რომ არსებული რესურსი საკმარისია პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის."

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებულ გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით. კერძოდ, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას რაიმე გეგმა დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის გაზრდასთან დაკავშირებით.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი გორაძემ, განმარტა, რომ წინა აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში დაწესებულებას მიეცა ანალოგიური რეკომენდაცია. მისი განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის შემდგომ პროგრამის განხორციელებაში დამატებით ჩაერთო საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე ოთხი აკადემიური პერსონალი. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, რიგი მიზეზების გამო, ისინი ვერ გაიზიარებენ აღნიშნულ რეკომენდაციას. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო კომპონენტები კვლევაზეა ორიენტირებული, ხოლო თავად პროგრამის მთავარი მიზანია სტუდენტებს სწავლების საწყის ეტაპზევე განუვითაროს აკადემიური წერისა და კვლევის უნარები სათანადო ხარისხით, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას. მისი განმარტებით, სტუდენტის მხრიდან, საჯარო მმართველობის მიმართულებით კონკრეტული საგნის ან ცალკეული საკითხის სისტემური ცოდნის საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, კოლეგიისა და ხელმძღვანელის შეთანხმებით, მათ სამაგისტრო დონეზე შეეთავაზებათ შესაბამისი სასწავლო კურსები საჯარო მმართველობის დოქტორებისა და სხვა შესაბამისი დარგის სპეციალისტების ხელმძღვანელობით. მან ასევე აღნიშნა, რომ უშუალოდ დოქტორანტურის დონეზე საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორების დამატების საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან ისინი, ფაქტობრივად, სასწავლო პროცესში სრულფასოვნად მონაწილეობას ვერ მიიღებენ. რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ეტაპს, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ერთი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი თანახელმძღვანელის ჩართვა. ამასთანავე, აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი კოლეგია დაკომპლექტებული იქნება როგორც უნივერსიტეტში არსებული, ისე მოწვეული, შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე მკვლევრებისგან. პროგრამის ხელმძღვანელმა დამატებით აღნიშნა, რომ მისი პირადი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე პირებს შორის მხოლოდ ერთეულები არიან აქტიური მკვლევარები. კერძოდ, აღნიშნული მიმართულების დოქტორების დაახლოებით 80%-ს არ უფიქსირდება კვლევითი აქტივობა უახლოესი 3–4 წლის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება განიხილავს შესაძლებლობას, უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში ჩართოს რამდენიმე ძლიერი დოქტორანტი, რომლებიც უახლოეს პერიოდში დაიცავენ დისერტაციას, როგორც დოქტორანტურის დონეზე სასწავლო პროცესში, ისე შემფასებელთა როლში. პირველ ეტაპზე მათი ჩართულობა გათვალისწინებულია აკადემიური კოლეგიის შემადგენლობაში, ხოლო შემდგომ ეტაპზე – სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელებად.

საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და მოწვეულ სპეციალისტებთან მიმართებით რაოდენობრივი მაჩვენებლები გარკვეულ კითხვებს ბადებს. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ თავდაპირველად პროგრამაში წარმოდგენილი იყო სამი ქართველი მოწვეული სპეციალისტი, თუმცა შემდგომში დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა ცხრა უცხოელი პერსონალის სია. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა შეკითხვით მიმართა დაწესებულებას და სთხოვა დაეზუსტებინათ, თუ რა სტატუსი აქვთ აღნიშნულ ცხრა უცხოელ პერსონალს დაწესებულებაში.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, დიმიტრი გეგენავამ, განმარტა, რომ დაწესებულებას მოწვეული პერსონალის რაოდენობა მცირე აქვს. რაც შეეხება აღნიშნულ უცხოელ პერსონალს, მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში და მათი მოთხოვნის საფუძველზე, უნივერსიტეტმა წარმოადგინა პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორების სია, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს დოქტორანტების თანახელმძღვანელობაზე, თუმცა ისინი არ მოიაზრებიან სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში. დამატებით, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ საჯარო მმართველობა ინტერდისციპლინური დარგია და ქვეყანაში საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხი გაიცემა მხოლოდ ბოლო 18–20 წლის განმავლობაში. შესაბამისად, ამ მიმართულებით დოქტორების რაოდენობა, სხვა დარგებთან შედარებით, შედარებით მცირეა, რაც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ დარგი ახალია და სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დგას. მისივე განცხადებით, დაწესებულება სადოქტორო პროგრამებს არ განიხილავს კომერციული დანიშნულებით; ეს პრაქტიკა პირდაპირ გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და სტრატეგიიდან და, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კვლევის განვითარების ხელშეწყობასა და ახალი მიმართულებების ათვისებას. ამ მიდგომიდან გამომდინარე, დაწესებულება დეტალურად აკვირდება დოქტორანტების პროგრესს, რის გამოც, აღნიშნულ პროგრამაზე დოქტორანტების რაოდენობა, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით, სრულად საკმარისია. მან ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ მიდგომისა, დაწესებულება პერიოდულად ახალისებს დოქტორანტთა მიღებას, თუმცა რაოდენობრივი გადატვირთვა თავისთავად არ წარმოადგენს დადებით ფაქტორს. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, დაცული იყოს რაციონალური ბალანსი მოქმედ დოქტორანტებს, პოტენციურ დოქტორანტებსა და მათ ხელმძღვანელებს შორის. დიმიტრი გეგენავამ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ, ვინაიდან პროგრამის თემა ინტერდისციპლინურია, დოქტორანტებს ხშირ შემთხვევაში ჰყავთ ორი ან სამი ხელმძღვანელი სხვადასხვა დარგიდან, რადგან მხოლოდ ერთი სფერო ვერ უზრუნველყოფს ყველა აკადემიური მოთხოვნის დაკმაყოფილებას. მან დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალი მოიცავს როგორც ქართველ, ისე უცხოელ სპეციალისტებს, რომლებიც საჯარო მმართველობის დოქტორები არიან და უშუალოდ ინტერდისციპლინურ კვლევებზე არიან ორიენტირებულნი.

საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა, პროგრამასთან დაკავშირებით დამატებითი შეკითხვა დასვა. კერძოდ, მან მიუთითა პროგრამის კურიკულუმის მე-11 გვერდის ბოლო ნაწილში წარმოდგენილ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკაზე, რომლის მიხედვითაც არჩევითი სასწავლო კურსებიც მონაწილეობს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, მან სთხოვა დაწესებულებას დაეზუსტებინათ, ასახავდა თუ არა აღნიშნული რუკა რეალურ მდგომარეობას, თუ ეს იყო ტექნიკური ხასიათის უზუსტობა.

დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ კურიკულუმის მე-11 გვერდზე არ არის წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებთან ურთიერთმიმართების რუკა, არამედ წარმოდგენილია მატრიცა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა საგნის ჩამონათვალს. აღნიშნულ მატრიცაში აკუმულირებულად არის ასახული ყველა სილაბუსიდან მიღებული ცოდნა-გაცნობიერების, უნარისა და ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგები. მისივე

განმარტებით, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა წარმოდგენილია კურიკულუმის მე-10 გვერდზე, სადაც ჩანს, რომ სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილეობს მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კურსები.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, მიმართა დაწესებულებას პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკით გათვალისწინებულ კვლევით სემინართან, როგორც სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, აღნიშნული კომპონენტის სილაბუსის მიხედვით, კვლევითი სემინარის ფარგლებში ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ზღვარი ხელმძღვანელის/რეცენზენტის მხრიდან განსაზღვრულია 45 ქულით. ამასთან დაკავშირებით, მან შეკითხვით მიმართა დაწესებულებას, ხორციელდება თუ არა ნაშრომის შეფასება ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მიერ ინდივიდუალურად, ცალ-ცალკე, თუ შეფასების პროცესი ერთობლივ ხასიათს ატარებს. ამავე დროს, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სილაბუსის აღწერის მიხედვით, აღნიშნული კურსი უფრო მეტად ემსგავსება კვლევით კომპონენტს, ვიდრე სასწავლო კურსს, ვინაიდან შეფასების კრიტერიუმები სრულად არის კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული. კერძოდ, ნაშრომის ფარგლებში ფასდება კვლევითი პრობლემის განსაზღვრა, მიღებული შედეგები და გამოყენებული წყაროები, რაც დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხომ არ წარმოადგენს აღნიშნული კვლევითი სემინარი კვლევით კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის განხორციელებასა და მის შეფასებას.
გარდა ამისა, საბჭოს წევრის მეორე შეკითხვა შეეხებოდა კოლოკვიუმის კომპონენტს. კერძოდ, პროგრამის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე მუშაობისას დოქტორანტი ასრულებს სამ კოლოკვიუმს. მისი განმარტებით, პროგრამის შესაბამისად, დოქტორანტი დისერტაციაზე მუშაობას იწყებს მესამე სემესტრიდან, რაც, მისი ვარაუდით, ემთხვევა პირველი კოლოკვიუმის შესრულების პერიოდს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, პირველი კოლოკვიუმის ფარგლებში უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, როგორ ხდება შემდგომი კოლოკვიუმების დაგეგმვა და როგორ მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურა.
დიმიტრი გეგენავამ პირველ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო კომპონენტი პრინციპულად არ წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, ვინაიდან დოქტორანტი მის ფარგლებში დამოუკიდებელ კვლევას არ ასრულებს; აღნიშნული არის სასწავლო კომპონენტი, რომლის მიზანიც დოქტორანტისთვის სამეცნიერო სტატიის წერის სწავლებაა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კომპონენტი შეიცავს კვლევით ელემენტებს, ეს ანალოგიურია კვლევითი უნარების ან შესაბამისი საგნების გაცნობის კურსებისა, რომლებიც თავისთავად კვლევით კომპონენტად ვერ ჩაითვლება. დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ საქართველოს უმრავლეს უნივერსიტეტში მსგავსი კომპონენტები მოქმედებს და მათ შეიძლება ეწოდოს სტატიის შესრულება ხელმძღვანელის მიერ შერჩეული თემატიკის ფარგლებში. მისივე განცხადებით, აღნიშნული კურსი მოიცავს არა მხოლოდ კვლევით საქმიანობას, არამედ კვლევითი უნარების გამომუშავებას, რაც აუცილებელია დისერტაციის მომზადებისათვის. მისი თქმით, კურსი ცალსახად განსხვავდება დისერტაციის შესრულებისგან როგორც კვლევის შედეგების, ისე შესრულების უნარების თვალსაზრისით და წარმოადგენს სასწავლო კომპონენტს. დიმიტრი გეგენავას განმარტებით, ეს არის კვლევითი უნარების გამომმუშავებელი საგანი, რომელიც ემსახურება ცოდნის გაღრმავებას და კონკრეტულად ორიენტირებულია სამეცნიერო სტატიის შესრულებაზე, რომელიც ბლოკ-სემინარის ფარგლებში ხორციელდება. დაწესებულებამ აღნიშნული მიდგომა ჩამოაყალიბა როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აპრობირებული პრაქტიკის გათვალისწინებით და შემდგომ იგი სხვა პროგრამებზეც გაავრცელა.
საბჭოს წერმა, თეა მჭედლურმა კიდევ ერთხელ დააზუსტა შეკითხვა ნაშრომის შეფასებაში რეცენზენტის როლთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სილაბუსში გამოყენებულია ფორმულირება „ხელმძღვანელი/რეცენზენტი“, ხოლო შეფასების კრიტერიუმები მოიცავს ისეთ

ასპექტებს, რომლებიც, როგორც წესი, სადოქტორო ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება, მათ შორის კვლევაში დასმული საკითხის აქტუალობა, გამოყენებული მეთოდოლოგია, შინაარსობრივი მრავალფეროვნება და წყაროების გამოყენება. შესაბამისად, იგი დაინტერესდა, თუ რატომ მოიცავს სასწავლო კურსად განსაზღვრული კომპონენტი ისეთ კრიტერიუმებს, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება კვლევით კომპონენტს. დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ სილაბუსში რეცენზენტზე მითითება წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, ვინაიდან სილაბუსის სხვა ნაწილებში რეცენზენტის მონაწილეობა აღნიშნული არ არის. რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმებს, მისი თქმით, სამეცნიერო სტატია და ნებისმიერი კვლევითი ნაშრომი მსგავსი კრიტერიუმებით ფასდება. სემინარის მიზანია, დოქტორანტს ასწავლოს სამეცნიერო სტატიაზე მუშაობა, მით უფრო, რომ პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას. აღნიშნული კომპონენტი მოიაზრება სტატიის წერის ხელმძღვანელობით სასწავლო კურსად და არ წარმოადგენს კვლევით კომპონენტს, ვინაიდან სხვა შემთხვევაში სრულად იცვლება სადოქტორო განათლების ლოგიკა და სისტემა. მისივე განცხადებით, მსგავსი მსჯელობის შემთხვევაში, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის უნარების კურსებიც უნდა ჩაითვალოს სამეცნიერო კვლევით კომპონენტებად. დიმიტრი გეგენავამ ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკულად ყველა სასწავლო კურსი გარკვეულწილად სამეცნიერო კვლევაზეა ორიენტირებული. მან დასძინა, რომ მინისტრის ბრძანების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შინაარსს, აღნიშნული კურსი ამ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს, ვინაიდან მისი შეფასება ხორციელდება ეტაპობრივად, კრედიტით და სასწავლო ლოგიკის ფარგლებში, განსხვავებით სამეცნიერო კვლევითი კომპონენტისგან, რომელიც არ ფასდება კრედიტით და დოქტორანტის მიერ ერთიანად იცავს. მომხსენებელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ტერმინი „რეცენზენტი“ სილაბუსში მხოლოდ ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს, რადგან აღწერილობაში არ იკვეთება რეცენზენტის ჩართულობა შეფასების პროცესში. მისი თქმით, სილაბუსი მრავალჯერ იქნა გადამუშავებული და თემატურად ისე დალაგებული, რომ მაქსიმალურად მიახლოებულიყო რეალურ აკადემიურ პრაქტიკას და მაღალი ალბათობით განევითარებინა დოქტორანტის კვლევითი უნარები, ვინაიდან კვლევითი უნარების ფორმირება კვლევითი ელემენტების ინტეგრირების გარეშე სასწავლო კურსებში პრაქტიკულად წარმოუდგენელია. კოლოკვიუმებთან დაკავშირებით, დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ მათი განხორციელების პროცედურები რეგულირდება არა მხოლოდ პროგრამის კურიკულუმით, არამედ დოქტორანტურის დებულებითაც. ვინაიდან დისერტაციაზე მუშაობა იწყება მესამე სემესტრიდან, კოლოკვიუმების შესრულებაც სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. მისი თქმით, ერთ სემესტრში შესაძლებელია ერთი კოლოკვიუმის შესრულება, შესაბამისად, მეხუთე სემესტრის დასრულების შემდეგ, ხოლო მეექვსე სემესტრში, დოქტორანტს შესაძლებლობა ეძლევა სრულად შეკრას კოლოკვიუმები, დააზუსტოს და გადაამუშაოს მასალები. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში კი კვლავ მოქმედებს სამი დადებითი რეკომენდაციის მიღების ვალდებულება, რის საფუძველზეც დოქტორანტი ვალდებულია გადაამუშაოს ნაშრომი და გაითვალისწინოს მიღებული უკუკავშირი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დისერტაციის წარდგენა მესამე დადებითი რეკომენდაციის გარეშე შეუძლებელია. მისივე განმარტებით, აღნიშნული პროცესი შესაძლოა დასრულდეს ერთი სემესტრის ფარგლებში, თუმცა შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი სემესტრის გამოყენებაც. მან დასძინა, რომ დაწესებულებას პრაქტიკაში უკვე ჰქონია მსგავსი შემთხვევა და კოლოკვიუმების შეფასების პროცესში დოქტორანტის პროგრესის შედარებამ საბოლოო ჯამში დადებითი შედეგი გამოიღო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 15:20

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2031 წლის 31 დეკემბრამდე, 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად. შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2031 წლის 31 დეკემბრამდე, 6 თვის თავზე მონიტორინგის პირობით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
3. დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებში.
4. „სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

ა) 4.1 კომპონენტის რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გაზარდოს საჯარო მმართველობის სფეროში ადგილობრივი დოქტორის ხარისხის მქონე პირების აკადემიურ პერსონალად ჩართვა". დაკორექტირდა შემდეგი სახით:" რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გაზარდოს საჯარო მმართველობის სფეროში ადგილობრივი დოქტორის ხარისხის მქონე პირების აკადემიურ პერსონალად ჩართვა". რეკომენდაციის შინაარსიდან გამომდინარე შეიცვალა 4.1. კომპონენტის შეფასება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან".

ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია მთლიანად მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან".

მეორე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტი: 240
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა ლევან შავაძემ, ქეთევან ნანობაშვილმა და მზია წიკლაურმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები ბონდო გასვიანი და ნათია იორდანაშვილი.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტმა ჰასან ჩაკირმა (Hasan Çakır) შემუშავებული დასკვნის საფუძველზე წარმოადგინა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაზე თავისი საბოლოო პოზიცია, რომელიც თან ერთვის უცვლელად.

"1.3 ქვესტანდარტის რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, შემუშავდეს რუბრიკებზე დაფუძნებული მოსწრების აღმწერები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის (PLO) შესაბამისად, სადაც მკაფიოდ იქნება დიფერენცირებული შესავალის, გაღრმავების და დაუფლების დონეები.
2. რეკომენდებულია, მომზადდეს განხორციელების გეგმის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს განაწილებაზე დაფუძნებული მონიტორინგიდან პროგრამის სწავლის შედეგების კრიტერიუმებზე დაფუძნებული მიღწევის შეფასების ჩარჩოზე გადასვლას, თითოეული სწავლის შედეგისთვის მკაფიოდ განსაზღვრული ინდიკატორებით.

პასუხი რეკომენდაციაზე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს, ყველა მოქმედი პროგრამისთვის შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და ყოველი სემესტრის/სასწავლო წლის დასასრულს, ასევე ყველა პროგრამისთვის აკეთებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშს. როგორც ყველასათვის ცნობილია, პროგრამის სწავლის შედეგებს სასწავლო კურსები სამ დონეზე (1 გაცნობა; 2 გაღრმავება; 3 განმტკიცება) ანვითარებს.
აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტის თანახმად, სწავლის შედეგების შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. პირდაპირი შეფასების განხორციელებისათვის, პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პერსონალმა განსაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით განსაკუთებული მნიშვნელობის მქონე სასწავლო კურსები, რომლებიც გადიან სწავლის შედეგების განმტკიცებაზე.
კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო კომპონენტებით პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის აღწერას და ამასთანავე იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, შეფასების თუ რომელი ფორმის გამოყენებით ხდება კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება და შემოწმება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით. შემუშავებულია შეფასების სამი დონე: ნაწილობრივ აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს და აკმაყოფილებს. პირდაპირი მეთოდებით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება მოხდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე განხორციელდება სტუდენტების რანჟირება მიღებული ქულების მიხედვით.
მეორე ეტაპი გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას განმტკიცების დონის სასწავლო კურსების საშუალებით.
აღნიშნული ორეტაპიანი შეფასება აძლიერებს შედეგზე ორიენტირებულ შეფასებას. ეს მოდელი გვაძლევს საშუალებას, ერთი მხრივ აკადემიური მოსწრების ანალიზით დავაკვირდეთ ტენდენციებს, ხოლო მეორე მხრივ - შევაფასოთ რეალურად მიღწეული სწავლის შედეგები, განმტკიცების დონის კონკრეტული სასწავლო კურსების მიხედვით.
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტში მოცემულია დანართი „სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირი", რომლიდანაც ნათლად ჩანს, თუ რომელი სასწავლო კურსი რომელ დონეზე უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ამავე დოკუმენტში მოცემულია კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამით მისაღწევი სწავლის შედეგები, თითოეული შედეგის შეფასების დონეები და შეფასების ინდიკატორები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი არ ეფუძნება მხოლოდ ქულების განაწილების ანალიზს, არამედ აერთიანებს როგორც განაწილებაზე, ისე კრიტერიუმებზე დაფუძნებულ შეფასებას. თითოეული შედეგისთვის განსაზღვრულია შეფასების შესაბამისი ინდიკატორები (დასკვნითი გამოცდა; ჯგუფური პროექტი; საბაკალავრო პროექტი და ა.შ) ხოლო მიღწევის ხარისხი ფასდება სამ დონეზე (ნაწილობრივ აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს და აკმაყოფილებს), რაც თავის შინაარსით, რუბრიკაზე დაფუძნებული შეფასების ჩარჩოს წარმოადგენს.

ამავე დოკომენტში მოცემულია შეფასების ინდიკატორების რუქა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პროგრამის შედეგების გამომუშავებაში მონაწილე, რომელ სასწავლო კურსში, დასკვნით გამოცდაზე, როგორი ფორმებით ხდება შეფასება: თეორიული საკითხით, ტესტებით, ღია ტესტებით და ა.შ. ხოლო რაც შეეხება საბაკალავრო პროექტს, აქ შეფასების ინდიკატორი სწორედ რუბრიკებია: რუბრიკა 1.1;1,2; 1.4; 1.5; 18; 2.1.

გთხოვთ იხილოთ, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს თანმდევი დოკუმენტი საქაღალდეში #6 „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები".

როგორც დასკვნაში, 1.3 ქვესტანდარტის რეკომენდაციებთან დაკავშირებით თავად ექსპერტები აღნიშნავენ: „კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამამ შეიმუშავა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც აერთიანებს განაწილებაზე დაფუძნებულ მონიტორინგს კრიტერიუმებზე დაფუძნებულ, პროგრამის სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ შეფასებასთან. თითოეული სწავლის შედეგი მხარდაჭერილია განსაზღვრული შეფასების ინდიკატორებითა და შესრულების სამი დონით, რაც ადასტურებს რუბრიკებზე დაფუძნებული შეფასების გამოყენებას. შეფასების მეორე ეტაპი ითვალისწინებს კონკრეტული კურსების ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს კომპეტენციებზე დაფუძნებულ შეფასებას და არა მხოლოდ ქულების განაწილების მონიტორინგს. მართალია, ექსპერტთა რეკომენდაცია გონივრული და კონსტრუქციულია, თუმცა პროგრამა მიიჩნევს, რომ მისი ამჟამინდელი შეფასების მექანიზმი სრულად აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტების 1.3 სტანდარტის მოთხოვნებს".

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის, რომ უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამებისთვის შემუშავებული სწავლის შეფასების მექანიზმები სრულად აკმაყოფილებს 1.3 ქვესტანდარტის მოთხოვნებს მხოლოდ უნივერსიტეტის აზრი კი არა, ყველა იმ 14, 2025 წელს აკრედიტებული, საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამების შემმოწმებელ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაცაა. აკრედიტაციის არცერთ ქართველ თუ საერთაშორისო ექპსერტს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ მექანიზმებთან დაკავშირებით არათუ რეკომენდაცია, არამედ რჩევაც კი არ ქონია.

და ბოლოს, ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას, ხოლო ექსპერტთა მოსაზრება, რომელიც ძირითადად ეხება პროგრამაში უკვე არსებული შეფასების მექანიზმის უფრო მკაფიოდ წარმოჩენას და დამატებით დეტალიზაციას, არ უნდა იყოს რეკომენდაციების (ანუ შენიშვნების) შინაარსის მატარებელი. ისინი უნივერსიტეტისთვის მხოლოდ რჩევები შეიძლება იყოს.

რეკომენდაცია 1.4.

რეკომენდებულია, კომპიუტერული მეცნიერების თეორიული საფუძვლების უფრო მკაფიო სტრუქტურული ინტეგრაცია კომპიუტერული მეცნიერების კვალიფიკაციისა და საერთაშორისო დონეზე აღიარებული აკადემიური ჩარჩოების შესაბამისად, ან სპეციალური სასწავლო კურსის (მაგალითად: გამოთვლების თეორია) შემოღების გზით, ან არსებულ ალგორითმებთან დაკავშირებული კურსების სისტემური გაფართოებით, რათა მოიცვას გამოთვლის ფორმალური მოდელები და მაღალი სირთულის ანალიზი.

პასუხი რეკომენდაციაზე

როგორც არგუმენტირებული პოზიციიდან ჩანს, ალგორითმებთან დაკავშირებულ სასწავლო კურსებში მოცემულია კომპიუტერული მეცნიერების თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებული საკითხები. რაც შეეხება გამოთვლის ფორმალურ მოდელებსა და მაღალი სირთულის ანალიზს, ეს საკითხებიც მოცემულია სილაბუსებში, თუმცა სიღრმისეულად მათი შესწავლა ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის თანახმად, მაგისტრატურის დონისთვისაა მიზანშეწონილი.

რეკომენდაცია 2.3.

რეკომენდებულია, გაიზარდოს ანალიტიკური, დიზაინზე დაფუძნებული და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებების წილი საბაზისო და თეორიული კურსების (ალგორითმები, ხელოვნური ინტელექტი, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია) საბოლოო შეფასებებში.

პასუხი რეკომენდაციაზე
როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალგორითმებისა და მონაცემთა სტრუქტურების, ხელოვნური ინტელექტისა და პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის კურსებში, შუალედური შეფასების ფარგლებში სტუდენტები ასრულებენ სწორედ იმ ტიპის ამოცანებს, რომელთა გაძლიერებაზეც მიუთითებენ ექსპერტები. რაც შეეხება საბოლოო შეფასებებს, თეორიული ცოდნის შემოწმების საკითხებთან ერთად ნაგულისხმევია ანალიტიკური, დიზაინზე დაფუძნებული და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებების არსებობაც. თუმცა, ექსპერტების რეკომენდაცია შესაძლებელია გაზიარებულ იქნას, რათა გაიზარდოს ამ დავალებების წილი საბოლოო შეფასებებში."

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, კერძოდ — 1.3 კომპონენტში განსაზღვრული ორი რეკომენდაციის შესახებ. მან შეკითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციების შემუშავების საფუძველი. მისი განმარტებით, შეფასების რუბრიკები, რომლებზეც ექსპერტთა დასკვნაში არის მითითებული, დაწესებულებას უკვე გაწერილი აქვს შესაბამის დოკუმენტაციაში. ამასთან, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას არაერთხელ გაუვლია აკრედიტაცია როგორც მოქმედი აკრედიტაციის საბჭოს, ისე წინა პერიოდის საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში, და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი ყველა შემთხვევაში დადებითად იყო შეფასებული. შესაბამისად, იგი დაინტერესდა, რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციების შემუშავების საფუძველი და სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, ატარებს თუ არა რეკომენდაციები მხოლოდ რჩევის ხასიათს, თუ გულისხმობს კონკრეტული საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაგდა ცინცაძემ, განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კერძოდ — შეფასების მექანიზმისა და სილაბუსების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომელთა სიღრმისეულად შესწავლაც საჭირო გახდა. მისი თქმით, წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების რუკა გარკვეულწილად ბუნდოვანი იყო. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების განვითარება მკაფიოდ უნდა აისახოს „გაცნობა – გაღრმავება – განმტკიცება“ ლოგიკის მიხედვით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა, რომ რიგ შემთხვევებში აღნიშნული ლოგიკა დარღვეული იყო.
მაგდა ცინცაძის განმარტებით, შეფასების რუკაზე გარკვეული სასწავლო კურსები პროგრამის სწავლის შედეგებს ავითარებენ განმტკიცების, ანუ მესამე დონეზე, მაშინ როდესაც შემდგომი კურსების ნაწილი იმავე სწავლის შედეგს ფარავს პირველ ან/და მეორე დონეზე. გარდა ამისა,

ბუნდოვანებას ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასწავლო კურსები ერთდროულად ორ დონეზე არიან მონიშნული; მაგალითად, კონკრეტული კურსი შეფასების რუკაზე აღნიშნულია როგორც პირველ და მეორე, ან მეორე და მესამე დონეზე გამსვლელი. აღნიშნულის საფუძველზე ექსპერტებმა კიდევ ერთხელ გააანალიზეს სილაბუსები, თითოეული სწავლის შედეგის განვითარების ლოგიკაში ჩაღრმავდნენ და დაადგინეს გარკვეული შეუსაბამობები.

კერძოდ, ექსპერტის განმარტებით, „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურების“ კურსი, რომელიც ფუნდამენტურ საგანს წარმოადგენს და ავითარებს ალგორითმულ აზროვნებასა და მონაცემთა სტრუქტურებთან მუშაობის უნარებს, თავისი შინაარსით პირველ და მეორე დონეზე გასვლად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, აღნიშნულ კურსს წინაპირობად განსაზღვრული აქვს „დაპროგრამების საფუძვლები“, რაც, ექსპერტის შეფასებით, ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს. მიუხედავად ამისა, შეფასების რუკის მიხედვით, მოცემული კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს მეორე და მესამე დონეზე ავითარებს. ამავე დროს, კურსი, რომელიც აღნიშნულ საგანს წინაპირობად მოიცავს და სახელწოდებით „ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები“ არის წარმოდგენილი, პროგრამის სწავლის შედეგებზე გადის პირველ და მეორე დონეზე, რაც ექსპერტის შეფასებით წარმოადგენს ლოგიკურ შეუსაბამობას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ექსპერტმა ყურადღება მიაქცია, უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების დონეების აღსანიშნავად გამოყენებულ ტერმინებს — „ნაწილობრივ შეესაბამება“, „მეტწილად შეესაბამება“ და „შეესაბამება“. მისი შეფასებით, აღნიშნული ფორმულირებები არ წარმოადგენს შესრულების ინდიკატორებს, ვინაიდან ისინი არ აჩვენებს, როგორ იზრდება სწავლის პროცესში სირთულე და სტუდენტის დამოუკიდებლობის ხარისხი. მისი განმარტებით, მაგალითად, შესავალ დონეზე სტუდენტმა უნდა შეძლოს ძირითადი ცნებების ამოცნობა; გაღრმავების დონეზე — ალტერნატივების შედარება, არჩევანის გაკეთება და სტანდარტულ ამოცანებში დასაბუთება; ხოლო მესამე დონეზე — უფრო რთული პრობლემების ანალიზი, გადაწყვეტის გზების შემუშავება და მათი ეფექტიანობის შეფასება. ექსპერტის შეფასებით, მხოლოდ სიტყვობრივი სხვაობა ვერ ასახავს სირთულის, დამოუკიდებლობისა და ამოცანის ტიპის ცვლილებას ერთი დონიდან მეორეზე გადასვლისას.

აღნიშნული გარემოებები გახდა რეკომენდაციების შემუშავების საფუძველი, რომლის მიზანია, დაწესებულებამ შეიმუშაოს რუბრიკებზე დაფუძნებული შესრულების ინდიკატორები. დამატებით, მაგდა ცინცაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ეყრდნობა გაუსის ნორმალურ განაწილებას, რაც წარმოადგენს განაწილებაზე დაფუძნებულ მონიტორინგს და არა შედეგებზე დაფუძნებულ შეფასებას. მისი თქმით, შეფასების გეგმა მკაფიოდ უნდა ითვალისწინებდეს, რა ეტაპზე უნდა მოხდეს გარდაქმნა, რა ვადებში და ვინ იქნება პასუხისმგებელი პირი ან პირები.

ციური დურულის განმარტებით, საქართველოში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მიმართულია იმისკენ, რომ დაწესებულება თავად მუშაობდეს სწავლის შედეგების შეფასებაზე, შეიმუშავებდეს გეგმას და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ავითარებდეს საკუთარ საქმიანობას. მისი აზრით, მიზანშეწონილია, დაწესებულებამ თავად გააანალიზოს მიღებული შედეგები, რაც უფრო ეფექტიანად მიიყვანს მას დაგეგმილი შედეგების მიღწევამდე.

საბჭოს წევრის განცხადებით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი სწორედ იმაზეა ორიენტირებული, რომ გამოვლინდეს როგორც ძლიერი მხარეები, ისე ნაკლოვანებებიც, რაც შემდგომ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. მისი შეფასებით, რადგან პროგრამა ახალია, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია, მას მიეცეს შესაძლებლობა ბუნებრივად განვითარდეს და ეტაპობრივად დაიხვეწოს.

ექსპერტმა, მაგდა ცინცაძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა შენიშვნა არ უკავშირდება PDCA ციკლს, არამედ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.

ციური დურულმა აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია ექსპერტთა პოზიცია, რის საფუძველზეც გააკეთა კომენტარი PDCA ციკლთან დაკავშირებით. ამასთანავე, მან ექსპერტს შეკითხვით მიმართა, თუ რატომ უნდა იყოს ექსპერტთა ხედვა და მიდგომა სავალდებულოდ

გათვალისწინებული აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.
მაგდა ცინცაძემ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს მხოლოდ ექსპერტთა მოსაზრებას; პირიქით, თავად დაწესებულებას აქვს განსაზღვრული შესაბამისი გრადაციები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა შეფასება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებამ 2025 წელს გაიარა 14 პროგრამის აკრედიტაცია და ყველა მათგანს მიენიჭა 7-წლიანი აკრედიტაცია. მისი თქმით, ამ პროცესის ფარგლებში არც საერთაშორისო და არც ადგილობრივ ექსპერტებს დაწესებულების მიერ შემუშავებულ მექანიზმებთან დაკავშირებით შენიშვნა ან რჩევა არ ჰქონიათ; პირიქით, აღნიშნული მექანიზმები ყოველთვის დადებით შეფასებას იმსახურებდა. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გაუსის განაწილებასთან დაკავშირებით დაწესებულება ექსპერტებს არ დაეთანხმა და განმარტა, რომ მცირე რიცხოვანი ჯგუფებისთვის გაუსის განაწილება რეალურ სურათს ვერ ასახავს, რის გამოც დაწესებულება მუშაობს ალტერნატიული მეთოდების შემუშავებაზე.
მისივე განმარტებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი შეფასების ინდიკატორები, კრიტერიუმები და მათ შორის რუბრიკებიც, რომლებიც აუცილებელია სწავლის შედეგების შესაფასებლად. ამასთან, რადგან პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყავს სტუდენტები, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ანალიზის ფორმა, რომლის გამოყენებაც დაიწყება სწავლების დაწყების შემდეგ. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფორმის შემუშავება სავალდებულო არ იყო, იგი წარმოდგენილია, როგორც ყველა პროგრამაში დანერგილი პრაქტიკა და აქტიურად გამოიყენება.
მარინა გედევანიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ის ღიაა ინოვაციებისა და გონივრული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის, თუმცა ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა დასკვნაში არსებულ ჩანაწერზე, რომლის მიხედვითაც საბაკალავრო პროგრამას უკვე შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც აერთიანებს განაწილებაზე დაფუძნებულ მონიტორინგს კრიტერიუმებზე დაფუძნებულ, პროგრამის სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ შეფასებასთან. მისი თქმით, ექსპერტების მხრიდან ხშირად ხდებოდა აბეტის შეფასების სისტემის განხილვა და მისი შეთავაზება, თუმცა აღნიშნა, რომ ნებისმიერი წარმოდგენილი დოკუმენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ინტელექტუალურ ნაშრომს, რომელშიც ჩართულნი არიან როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ისე პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული თითოეული ლექტორი. შესაბამისად, დაწესებულება გაითვალისწინებს გონივრულ რეკომენდაციებს, თუმცა ერთი კონკრეტული სისტემის, მათ შორის აბეტის სისტემის, სავალდებულო გამოყენება მხოლოდ მაშინ უნდა გადაწყდეს, როდესაც დაიწყება რეალური შეფასების პროცესი.
მისივე თქმით, პროგრამა დინამიური, განახლებადი ობიექტია და თუ პროცესში გამოიკვეთება, რომ რომელიმე მექანიზმი ვერ მუშაობს სათანადოდ, დაწესებულება აუცილებლად იზრუნებს პროგრამის მოდიფიცირებაზე ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესორებთან თანამშრომლობით. მან ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გაირკვეს, როგორ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან სტუდენტი, რომელმაც სწავლის შედეგს 51 ქულით მიაღწია, და სტუდენტი, რომელმაც იგივე შედეგს 100 ქულით მიაღწია. მისი თქმით, ცოდნის გაღრმავების მიზნით, იგი გაეცნობა, თუ როგორ ხდება შეფასება აბეტის პროგრამაში, თუმცა დაწესებულება არ აპირებს რომელიმე სისტემის მექანიკურ დაკოპირებას.
რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მაღალი სირთულის ანალიზის განხორციელებაა მოთხოვნილი, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი დონის ანალიზი მიზანშეწონილი უფრო მეტად მაგისტრატურის საფეხურისთვისაა და არა საბაკალავრო პროგრამისთვის. მან აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ქალბატონი ქეთევან ნანობაშვილი, როგორც დარგის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელთან, ქალბატონ თეა თოდუასთან ერთად.

დასასრულს, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მეორე რეკომენდაციას რჩევის სახით მიიღებს. მესამე რეკომენდაცია კი, მისი შეფასებით, არ შეესაბამება დარგობრივ მახასიათებლებს. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია შეფასების სტრუქტურასთან დაკავშირებით უკვე გათვალისწინებულია და დაწესებულება 1 მაისამდე ცენტრში წარადგენს 180 კრედიტზე გადაყვანილ პროგრამას, რომლის სილაბუსებშიც აღნიშნული რეკომენდაცია ასახული იქნება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 16:03

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2032 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ გადაწყვეტილება საბჭოს სხდომის დღიდან (24.04.2026) შევიდეს ძალაში, რაზეც შედგა კენჭისყრა, მხარი ყველა წევრმა დაუჭირა.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
3. დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.
4. „სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული

მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

ა) 1.3 კომპონენტის რეკომენდაცია - „ რეკომენდებულია, შემუშავდეს რუბრიკებზე დაფუძნებული მოსწრების აღმწერები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის (PLO) შესაბამისად, სადაც მკაფიოდ იქნება დიფერენცირებული შესავალის, გაღრმავების და დაუფლების დონეები." დაკორექტირდა და გადავიდა რჩევებში შემდეგი სახით - „სასურველია, შემუშავდეს რუბრიკებზე დაფუძნებული მოსწრების აღმწერები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის (PLO) შესაბამისად, სადაც მკაფიოდ იქნება დიფერენცირებული შესავალის, გაღრმავების და დაუფლების დონეები."
ასევე, ამავე კომპონენტის რეკომენდაცია - „რეკომენდებულია, მომზადდეს განხორციელების გეგმის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს განაწილებაზე დაფუძნებული მონიტორინგიდან პროგრამის სწავლის შედეგების კრიტერიუმებზე დაფუძნებული მიღწევის შეფასების ჩარჩოზე გადასვლას, თითოეული სწავლის შედეგისთვის მკაფიოდ განსაზღვრული ინდიკატორებით." დაკორექტირდა და გადავიდა რჩევებში შემდეგი სახით - „სასურველია, მომზადდეს განხორციელების გეგმის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს განაწილებაზე დაფუძნებული მონიტორინგიდან პროგრამის სწავლის შედეგების კრიტერიუმებზე დაფუძნებული მიღწევის შეფასების ჩარჩოზე გადასვლას, თითოეული სწავლის შედეგისთვის მკაფიოდ განსაზღვრული ინდიკატორებით." აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე შეიცვალა 1.3. კომპონენტის შეფასება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია მთლიანად პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც „ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

მესამე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური - მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413;
სწავლების ენა - ქართული;
კრედიტების რაოდენობა - 120;
სტატუსი: აკრედიტებული.

მეოთხე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური - დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413;
სწავლების ენა - ქართული;

კრედიტების რაოდენობა - 50;
სტატუსი - აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.
იმის გათვალისწინებით რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ ორივე ანგარიში განეხილათ ერთი მოსმენის ფარგლებში.

მესამე და მეოთხე საკითხების ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომას დატოვა საბჭოს წევრმა მაქსიმ იავიჩმა.

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა რომ დაწესებულებამ „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით გაცემული ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:08
დასრულების დრო: 16:11

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეხუთე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ანალიტიკა;
საფეხური - ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
სწავლების ენა - ქართული;
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413;
კრედიტების რაოდენობა - 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა მზია წიკლაურმა.

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა რომ დაწესებულებამ „ბიზნესის ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაცემული ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:13
დასრულების დრო: 16:16

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეექვსე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის

ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური - მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი - მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413;
სწავლების ენა - ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა - 120;
სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ გაცემული 9 რეკომენდაციიდან დაწესებულებამ 6 სრულყოფილად შეასრულა, ხოლო 3 ნაწილობრივ. ექსპერტმა გაამახვილა ყურადღება იმ სამ რეკომენდაციაზე, რომელიც ნაწილობრივ შესრულებულად მიიჩნია. კერძოდ, რეკომენდაციის, „რეკომენდირებულია პროგრამაში და სილაბუსებში სრულყოფილად და ზუსტად აღწეროს სწავლის მეთოდები და აქტივობები", პასუხად დაწესებულებამ წარმოადგინა კონკრეტული დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი სწავლის მეთოდები და აქტივობები, თუმცა სწავლის მეთოდებზე კონკრეტიზაცია სილაბუსში არ არის, შესაბამისად, ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად მიიჩნია. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, „რეკომენდებულია, შევიდეს ცვლილებები რეგულაციებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი", მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია არის მითითებული. კერძოდ, სილაბუსის ერთ ნაწილში დაფიქსირებულია, რომ ნაშრომი ინდივიდუალურად უნდა შესრულდეს, ხოლო მეორე ნაწილში მითითებულია, რომ ნაშრომზე სტუდენტების ჯგუფურად მუშაობენ. ექსპერტის მოსაზრებით, აღნიშნული შესაძლოა ტექნიკურ უზუსტობას წარმოადგენდეს. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რაც

მოიცავდა სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას და წინაპირობის განსაზღვრას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსს სჭირდება წინაპირობების მკაფიოდ განსაზღვრა. მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინაპირობად უნდა იყოს გათვალისწინებული კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანი საგანია. მისი თქმით, მსგავსად, რამდენიმე საგანი საჭიროებს წინაპირობების დაზუსტებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენლის, არჩილ ჯანგირაშვილის განმარტებით, დაწესებულებამ ანგარიშთან ერთად დამატებით წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც ჩამოწერილია მეთოდების განმარტებები. მისი თქმით, ყველა სილაბუსში გათვალისწინებულია მეთოდებისა და აქტივობების სვეტი, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების ჩამონათვალით. რომელსაც ლექტორები კვირების მიხედვით ანაწილებენ საჭიროებისამებრ. თუმცა კონტრეტული მეთოდების განმარტებები, მისი თქმით, „საქართველოს უნივერსიტეტს" ცალკე აქვს დოკუმენტის სახით გაწერილი, სილაბუსის მოცულობის ოპტიმიზაციის მიზნით. შესაბამისად, სილაბუსი მოიცავს მეთოდების ჩამონათვალს და არა მათ განმარტებებს. მაგალითად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეისზე დაფუძნებული სწავლება ან პროექტზე დაფუძნებული სწავლება, არის მეთოდები, რომლებიც, შეიძლება იყოს ჩამოწერილი სილაბუსში და მითითებული შესაბამის სვეტში. მაგრამ, კონკრეტულ მეთოდებზე უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად არსებობს დებულება. მისი თქმით, ამ დებულების მოძიება სტუდენტებისთვის არ არის რთული, რადგან სილაბუსი არის ელექტრონული ფორმით ატვირთული და სტუდენტებს თავიანთი ონლაინ სივრციდან აქვთ წვდომა, საიდანაც შეუძლიათ აქტიური ბმულის გამოყენებით გადავიდნენ განმარტებით დოკუმენტზე. შესაბამისად, მისი აზრით, ამ პროცედურით კარგად არის დაკმაყოფილებული სტანდარტის მოთხოვნები. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, მისი განმარტებით სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში არსებული უზუსტობა წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს და უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკით, ჯგუფურად აღარ ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.
დამატებით, პროგრამის ხელმძღვანელის, ნათია გოლიაძის განმარტებით, 2025 წლის მეორე სემესტრიდან უკვე სამაგისტრო ნაშრომი ჯგუფურად აღარ სრულდება. მისის თქმით, სხვა პროგრამების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე დაწესებულებამ თავიდანვე გაითვალისწინა „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამაზეც. სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებთან მიმართებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რამდენიმე საგანში, როგორიცაა ფინანსების მენეჯმენტი და ვაჭრობა ფინანსურ ბაზრებზე, დაწესებულებამ განუსაზღვრა წინაპირობები;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:25
დასრულების დრო: 16:28

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინომცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კინომცოდნეობა;
საფეხური:საბაკალავრო;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კინომცოდნეობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს კოდი: მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება 0215;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

მერვე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინომცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:კინომცოდნეობა;
საფეხური: სამაგისტრო;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კინომცოდნეობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება 0215;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა:120;
სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ და ბონდო გასვიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და

აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

იმის გათვალისწინებით სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინომცოდნეობის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ ორივე ანგარიში განეხილათ ერთი მოსმენის ფარგლებში

მეშვიდე და მერვე საკითხების ზეპირი მოსმენა

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი მაქსიმ იავიჩი და სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა ბონდო გასვიანმა და ირინა ლობჟანიძემ.

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ აღნიშნა რომ დაწესებულებამ „კინომცოდნეობის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით გაცემული ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:33
დასრულების დრო: 16:36

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინომცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინომცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინომცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილებაა:

აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კინომცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეცხრე საკითხი: სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგია" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის №47122 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

მეათე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის N46590 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

მეთერთმეტე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 15 აპრილის N434478 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა ნარგულ ასანიძემ და თეა მჭედლურმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საკითხის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობები განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს საბჭოსთვის მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი), სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა წერილი, რომელშიც აღნიშნავს, „სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო პროგრამაში შეტანილ ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის

უზრუნველყოფისა და უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 15 მარტის სხდომაზე (სხდომის ოქმის N434478) განსაზღვრული კვალიფიკაციის სწორად ფორმმულირების მიზნით, დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2026 წლის 02 აპრილის №06-01/44 დადგენილებით პროგრამაში დაზუსტდა მისანიჭებელი კვალიფიკაცია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე შემდეგი სახით:

- ნაცვლად "ბაკალავრი სურსათის ტექნოლოგიაში", განისაზღვრა - "სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი";
- ნაცვლად "Bachelor in Food Technology", განისაზღვრა - "Bachelor of Food Technology".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებასა და სხდომის ოქმებში შევიდეს ცვლილებები და დაკორექტირდეს სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგია" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგია" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის №47122 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის №47122 გადაწყვეტილების დანართის მე-9 ნაწილში ნაცვლად "ბაკალავრი სურსათის ტექნოლოგიაში", განისაზღვროს - "სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი";

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის N46590 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის N46590 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილში ნაცვლად "ბაკალავრი სურსათის ტექნოლოგიაში", განისაზღვროს - "სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი";

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 15 აპრილის N434478 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 15 აპრილის N434478 სხდომის ოქმის 1-ელ ნაწილში ნაცვლად "ბაკალავრი სურსათის ტექნოლოგიაში", განისაზღვროს-"სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი";

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 24 აპრილის 16:40 საათზე.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე



ელექტრონული
ეროვნული
ელექტრონული